პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 6 (18248) შაბათი, 9 იანვარი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საამეე გამოარჩინა

შარშან მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" წარმოების მოცულობა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ამ ხნის განმავლობაში აქ წლიური გეგმით გათვალისწინებულზე საგრძნობლად მეტი საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული ნაწარმი გამოუშვეს. წლეულს ამ მიმართულებით ფეიქრებს ახალი მიჯნები აქვთ დასახული.

ამ სურათზე აღბეჭდილია კომბინატის ერთ-ერთი საუკეთესო მქსოველი მ. გელაშვილი. იგი პირველთა რიგებშია სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ი. ნიკოლაიშვილის ფოტო.

## ღია წერილი ქართველ მეჩაიეებს

# აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება

თ. ჟუჟუნია.

# სოფლის ეკონომისტი: მოსავლისათვის ბრძოლის უფლება და მოვალეობა

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა აქტივის კრების მონაწილეების წერილი რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების ყველა ხელმძღვანელს, ეკონომისტს, ბუღალტერს და კონტროლიორ-რევიზორს**

ძვირფასო ამხანაგებო! სკკპ XXVI ყრილობამ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების ფართო პროგრამა დასახა. მის განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის სწრაფი და მყარი ტემპით განვითარებას, ჩვენს ხელთ არსებული მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალურ, მომჭირნე გამოყენებას.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი განეკუთვნებათ მეურნეობათა ეკონომიკური სამსახურების ხელმძღვანელებსა და

საქმიანობაზე, რის გამოც ხშირად მატერიალური წარმოების სფეროს ძირეულ რგოლებში დაგეგმვა ხორციელდება ზერელედ, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები შეწონასწორებული არ არის წარმოების მოცულობასთან, აგრეთვე მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებთან.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საგეგმო-ეკონომიკურ სამსახურებს სერიოზული ამოცანები დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებ-

# ყოველი დღე დამკვრელური

## ბოლნისელი ფერმის მუშაკები დაწინაურდნენ

ახალი წელი კარგად დაიწყეს ბოლნისის რაიონის ფერმის მუშაკებმა, რომლებმაც შარშან საგეგმოზე 1920 ცენტნერით მეტი ხორცი, 370 ცენტნერით მეტი რძე და 3 მილიონ 857 ათასი ცალით მეტი კვერცხი დაამზადეს. ახალი წლის პირველ ხუთ დღეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონის მეცხოველეებმა 150 ცენტნერით მეტი რძე მიჰყიდეს სახელმწიფოს.

შარშანდელი ტემპის გასწრებით მუშავდება ვენახების მწკრივთშორისები, ხორციელდება სიმეჩხერის ლიკვიდაციის ღონისძიებები. 3500 ჰექტარი ფართობი მომზადებულია საადრეო კარტოფილის დასათესად. („კომუნისტის" კორ).

## წლეულს შარშანდელზე უკეთესად

ბორჯომის რაიონის მეცხოველეები შარშან შარშანწინდელზე უკეთ გაისარჯნენ და გადამეტებით შეასრულეს ხორცის, რძის და კვერცხის დამზადების გეგმები. აქაური ფერმის მუშაკები დღითი დღე ფართოდ აჩაღებენ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას და შემართებით იბრძვიან მოპოვებული წარმატებების განსამტკიცებლად. ახალი წლის პირველ კვირაში რაიონის მწველავებმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 88 ცენტნერით მეტი რძე მიიღეს. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ტაბაწყურის, ახალდაბის, წაღვერისა და სხვა კოლმეურნეობების მეცხოველეებმა. მწველავთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა წაღვერელი ეთერ გელაშვილი.

„კომუნისტის" კორ.

## ხარისხი — მთავარი საზრუნავი

ონი (საქ. კორ.). ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს მამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი (უფროსი — ვ. გუგუშვილი) სისტემატურად სრულყოფს ბარიტის გამდიდრების ტექნოლოგიურ პროცესებს. საბავიერო გზის მიმღებ ბაქანზე ამას წინათ დამონტაჟდა ლითონის ცხავი, სადაც მადნიდან ზილული ფუჭი ქანების ამორჩევა ხდება. ხარისხის პუნქტები მოეწყო აგრეთვე ლენტურ ტრანსპორტიორზე. მარტო ამ ორმა ტექნიკურმა სიახლემ მკვეთრად გააუმჯობესა ბარიტის კონცენტრატის ხარისხი, გაიაფა გამოშვებული პროდუქცია.

ამჟამად ფაბრიკაში დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად მადნის გამდიდრების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფისათვის. ჩქარი ტემპით მონტაჟდება ბარიტ-კალციტის კონცენტრატის გასაფილტრავი და საშრობი დანადგარები. მათი ამუშავებით ერთიორად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, ბარიტი კიდევ უფრო თეთრი გახდება. ფაბრიკისათვის კარგი შენაძენია ფოტომეტრული სეპარატორები. ისინი ფუჭი ქანისაგან ფერების მიხედვით გამოარჩევენ მადნის სასარგებლო კომპონენტებს.

# მეშახტეთა ღირსების საქმე

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის ღირსეულ შეხვედრასთან დაკავშირებით ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის XIII ყრილობის დელეგატებმა — მოპოვების უბნების უფროსებმა და ბრიგადირებმა — მიიღეს მიმართვა დარგის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისადმი.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXVI ყრილობამ ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის მშრომელებს დიდი ამოცანები დაუსახა. მათ 1985 წელს 775 მილიონი ტონა ქვანახშირი უნდა ამოიღონ. ამ დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებს შახტების ტექნიკურ განახლებას, ქვანახშირის მოპოვების ღია წესის განვითარებას, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების გადიდებას და სრულყოფას.

ამასთან ერთად, აღნიშნულია მიმართვაში, არ შეიძლება არ გვაწუხებდეს ის ფაქტი, რომ ქვანახშირის მრეწველობა ბოლო ხანს ვერ ასრულებს მოპოვების საგეგმო დავალებებს. შარშან ბევრმა შახტმა და უბანმა ვერ გაართვა თავი გეგმის შესრულებას. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბოლო ხანს შემცირდა „ათასიანთა" კოლექტივების რიცხვი. ამ მოძრაობის განვითარებას კი აფერხებს ახალი საწმენდი სანგრევების დაგვიანებული მომზადება, მექანიზებული კომპლექსების მონტაჟ-დემონტაჟის სამუშაოთა ხანგრძლივი ვადები, სამთო გვირაბების, მანქანა-მექანიზმების ავარიულობა. ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის დანაკარგები.

მოწინავე კოლექტივების მუშაობის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ყოველ სამუშაო ადგილზე არის ქვანახშირის მოპოვებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები. ამ რეზერვების უკეთ გამოყენების აუცილებლობა გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებებიდან და დასკვნებიდან.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის XIII ყრილობის დელეგატებმა მიიღეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი და მიმართეს დარგის ყველა კოლექტივს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ შრომითი მეტოქეობა, გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება თითოეულ სამუშაო ადგილზე, რათა ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს. ყრილობის დელეგატებმა „ათასიანთა" კოლექტივს მოუწოდეს გაუზიარონ ბრიგადებს მუშაობის გამოცდილება და გაუწიონ საქმეში დახმარება. სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების მყარი სათბობით დაკმაყოფილება მეშახტეთა ღირსების საქმეა.

• •

7 იანვარს მოსკოვში ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის XIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. არჩეულია პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი.

ფაქტები ▫ მოვლენები ▫ კომენტარი ▫ გამოხმაურება

# გააუმჯობესოთ, სრულყოთ საყოფაცხოვრებო მომსახურება

## საერთაშორისო ცხოვრება — დედამიწის ზურგზე

იანვარი

## ცნობები პოლონეთიდან

## კონსტრუქციული სამშვიდობო წინადადებანი

## დაახლოვდნენ ანტისაბჭოთა საფუძველზე

## საფრანგეთის პოზიცია

## კომუნისტთა მოწოდება

## მოკლედ

## ფოტოატლასი

## ხიროსიმა

## გ. აბაშიძის ლექსები სლოვაკურ ენაზე

## პროტესტის ნიშნად

## იპყრობენ სიმაღლეებს

## დაჯილდოება

ეს საინტერესოა

## შედევრის მეორე დაბადება

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

# რის შველაც დღეს შეიძლება

### მეცნიერული შრომის ორგანიზაცია როცა მოიკოჭლებს

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მოუწოდა ფართო მსჯელობა გამართონ მეცნიერების შემდგომი განვითარების საკითხებზე.

მეცნიერება ხომ ის ბერკეტია, რომლის მეოხებითაც ჩვენი ქვეყნის წინსვლა ხორციელდება. მეცნიერება მომავლისაკენ საცქერი მხოლოდ სარკმელი კი არა, მთელი ცხოვრების საფუძველთა საფუძველია.

ყველა დარგს — სრულყოფილი მეცნიერული სისტემა! — აი დღევანდელობის დევიზი.

ყოველ დღეს ახალ-ახალი აღმოჩენები მოაქვს. საბჭოთა ადამიანი მეცნიერების უმაღლეს მწვერვალებს იპყრობს, მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვართა შერწყმა სოციალისტური სისტემის უპირატესობასთან ახალი სასწაულების მოხდენის საწინდარია.

აღმოჩენები კი იოლად და თავისთავად არ მოდის. ყოველი მიღწევა ხანგრძლივი და თავდადებული შრომის ნაყოფია. სწორედ ამიტომ, მეცნიერების წინსვლისათვის სამეცნიერო შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მთელი სისრულით დაისვა ეს საკითხი.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ რესპუბლიკაში?

მიღწევების მიუხედავად, ნაკლოვანებებიც შეინიშნება, განსაკუთრებით მოიკოჭლებს კოლექტიურ ნაშრომებზე მუშაობა. მართალია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა უზარმაზარი სამუშაო შეასრულა — გამოსცა საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეული, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯია არა მარტო ეროვნულ, არამედ საერთოდ ისტორიულ მეცნიერებაში, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩა მეორე, არანაკლები მასშტაბის კოლექტიური სამუშაო — საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის გამოცემა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ატლასში თავი უნდა მოიყაროს საქართველოს მატერიალური კულტურის ყველა კომპონენტმა, ამომწურავ ტექსტებს სათანადო ილუსტრაციებიც უნდა ახლდეს. მაშინ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი თავისი სირთულით არ ჩამოუვარდება საქართველოს ისტორიის რვატომეულსაც და თვით ქართულ ენციკლოპედიასაც კი. მით უმეტეს, რომ მათ საკმაოდ მყარი მეცნიერული საფუძველი ჰქონდათ შექმნილი, ეთნოგრაფიულ ატლასს კი ბევრი შეუსწავლელი პრობლემა აფერხებს.

ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას თვალსაჩინო წარმატებები აქვს. ისტორიული მეცნიერების ამ სფეროში ცნობილი მკვლევარები მოღვაწეობენ, მიუხედავად ამისა გაკეთებული საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ ატლასის ერთი ტომი, საცდელი ნაწილი მაინც გამოეცაო. მუშაობა კი 20 წელზე მეტია მიმდინარეობს. უსამართლობა იქნება ვთქვათ, არაფერი კეთდებოდაო. ლიტერატურიდან ამოიწერა ასობით ბარათი, შეძლებისდაგვარად შეგროვდა საველე-ეთნოგრაფიული მასალა, დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, გამოქვეყნდა კრებული („საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები", „მეცნიერება", თბ. 1980). საერთოდ, სწორად მოიქცა გამომცემლობა „მეცნიერება", როცა მას „მასალები" დაარქვა. დიახ, ეს მხოლოდ მასალების კრებულია და თემატურად არცთუ სრულყოფილად აგებული. აქ სტატიებს ვხვდებით ასეთი თანმიმდევრობით: „მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობა", „სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება", „ნიადაგის განოყიერება", „ხორბალი", „გუთანი", „შნაკვი", „კევრი", „ზეთსახდელი", „სამეურნეო სათავსები", „საწნახელი", „მარანი", „თაღარი", „მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის სიმღერები" და „მოსავლიანობის მფარველი ღვთაებები". რაც მართალია, მართალია, ერთობ სიჭრელეა. არის მსჯელობა ცალკეულ, არცთუ ისე მნიშვნელოვან სამეურნეო ელემენტებზე და თვით მეურნეობის არსი, ქართველი ხალხის უძველესი მიწათმოქმედების სპეციფიკა ნაკლებად არის წარმოჩენილი. რა თქმა უნდა, ყველა აქ მოყვანილი მასალა ატლასს მეტ-ნაკლებად ესაჭიროება, მაგრამ როცა „ნაკვეთის გამოცემის მიზანი იმის ჩვენებაა, თუ რა პრინციპით დამუშავდება და გამოიცემა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი", მაშინ ნაშრომის ასეთნაირად აგება, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ყველა წერილი გულდასმით გადავიკითხეთ და დავრწმუნდით, რომ მათ მეთოდიკური ხასიათი არა აქვთ. თუ ავტორებს ასეთი მიზანი არ ჰქონდათ, მაშინ მასალა თემატიკური სიზუსტით, თანამიმდევრულად, მთლიანობაში უნდა ეჩვენებინათ და არა ფრაგმენტების სახით. აკადემიკოს გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული და ქართველ ეთნოგრაფთა მიერ სამოქმედო პროგრამად აღიარებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის თანახმად, ყოფითი მოვლენები და რეალიები ნაჩვენები უნდა იყოს არა ერთმანეთისაგან მოწყვეტით, არამედ მთლიანობაში, მათი დიალექტიკური განვითარების კანონზომიერებათა სრული ჩვენებით. სამწუხაროდ, აქ სწორედ ეს პრინციპია დარღვეული და უგულებელყოფილი.

სამეცნიერო გეგმის თანახმად, ატლასის პირველი ტომი მხოლოდ მემინდვრეობას ჰქონდა დათმობილი, ხოლო მეორე — მევენახეობას, მეღვინეობას და ა. შ. იმ შემთხვევაში კი, როცა კრებულის დაბეჭდვა აუცილებელი გახდა, რათა ოცწლიანი ერთობლივი შრომა წარმოგვეჩინა, მაშინ თავი მოვუყარეთ ყველაფერს, რომლის გამოქვეყნება ასე თუ ისე შეიძლებოდა და ჩვენი პრესტიჟი ამ სახელდახელოდ შედგენილმა წიგნმა იხსნა, რომელსაც ერთ-ერთ გაზეთში „ერის ცხოვრების სარკეც" უწოდეს. ამრიგად, ორი კურდღელი დავიჭირეთ — ხანგრძლივ „მეცნიერულ რუდუნებასაც" ხორცი შეესხა და საზოგადოებრივი აზრის გულის მოგებაც მოხერხდა. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ასეთი კრებული, ოღონდ უფრო სრულყოფილად გააზრებული, 60-იანი წლებიდან მოკიდებული დღემდე, ყოველ წელს თითო მაინც გამოგვეცა, მაშინ ატლასისათვის მართლა სერიოზულ საფუძველს მოვამზადებდით.

მაინც რა არის ამ საშვილიშვილო და საშური საქმის შეფერხების მიზეზი?

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული შრომის ცუდი ორგანიზაცია და ეთნოგრაფიული დარგის სტრუქტურული არასრულყოფილება. იმის ნაცვლად რომ, ატლასის თემატიკის გათვალისწინებით პრობლემური სამეცნიერო განყოფილებები შექმნილიყო და მეცნიერ თანამშრომლებს მთელი დატვირთვით ემუშავათ, მოხდა პირიქით — მათთვის ძირითადი თემები სხვა აღმოჩნდა, ხოლო ატლასი რატომღაც დამატებითი გახდა. თუ ამას დავუმატებთ საველე-საექსპედიციო მუშაობის წლობით ჩაშლას, მაშინ სრულიად კანონზომიერია ის არასახარბიელო მდგომარეობა, რომელიც ამჟამად ეთნოგრაფიის დარგშია შექმნილი. ვერ ვიტყვით, რომ გულხელდაკრეფილი ვმსხდარიყავით და შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი არ გვეძებნოს, მაგრამ არცერთ ცდას საგულისხმო შედეგი არ ჰქონია. ჯერ კიდევ 1974 წლის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „შიშველი ხელებით", სადაც მეცნიერული შრომის არასრულყოფილი ორგანიზაციისა და საველე-საექსპედიციო სამუშაოების სერიოზულ ნაკლოვანებებზე იყო საუბარი. წერილის საფუძველზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ კომისია გამოყო, რომელმაც წერილში მოყვანილი ფაქტები არათუ დაადასტურა, კიდევ უფრო გაამდიდრა, გააანალიზა და მოხსენების სახით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ღია პარტიულ კრებას წარუდგინა. კრებამ დაუყოვნებლივ მიიღო დადგენილება ეთნოგრაფიული მუშაობის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გარდაქმნის შესახებ, მაგრამ დადგენილება არ შესრულდა. 1975 წლის ნოემბერში, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", მის საფუძველზე ეთნოგრაფიული მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა კვლავ მოხსენდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრებას, კვლავ მიიღეს შესაბამისი დადგენილება, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მეცნიერული შრომის რაიმე ორგანიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. წლიური თემის შესრულება თითოეული მეცნიერი მუშაკის მოხერხებაზეა დამოკიდებული. ექსპედიციები ან არ ეწყობა და თუ მაინც ველად გადიან თანამედროვე ტექნიკისა და ფიქსაციის საშუალებების გამოუყენებლად, ისევ მამაპაპურად, მხოლოდ ქაღალდითა და ფანქრით ხელში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მომაკვდინებლად მოქმედებს მეცნიერული ნაშრომების ხარისხზე, თითქმის აღარ გროვდება საილუსტრაციო მასალა, დაბრკოლდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასზე მუშაობა, რომლის გაგრძელებას რატომღაც კვლავ ძველი, მცდარი გზით ცდილობს ეთნოგრაფიის დარგის ზოგიერთი მესვეური. ასეთ პირობებში წარმოუდგენელია ქართულმა ეთნოგრაფიამ შეასრულოს ყოფისა და ტრადიციების მართვის საბაზისო მეცნიერების როლი, თუ შინაგანად თვითონ არ მოწესრიგდა ის, პასუხს ვერ გასცემს ისეთ გადაუდებელ პრობლემებზე, როგორიცაა ახალი საყოფაცხოვრებო რიტუალების (ქორწინება, დატირება, ნათლობა და სხვ.) მოწესრიგება და თანამედროვე დონეზე აღნიშვნა, მრავალათასწლოვანი ხალხური ცოდნა-გამოცდილების თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება, სახელდობრ, ნაცადი სამეურნეო-საწარმოო მიღწევების ტრანსფორმაცია (მიწის მოვლა-დამუშავება, ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურათა ვერტიკალურ ზონალობაში განლაგება, სავარგულთა დასვენება, თესლბრუნვა, განსახლების სისტემა, შრომის ხალხური ორგანიზაცია, გამოყენებითი ხელოვნება და შიდარეწვა, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით მეცხოველეობის განვითარება, ჯიშთა შერჩევა, ხალხური სელექცია და სხვ.). ყოველივე ამას მნიშვნელობა ახლაც არ დაუკარგავს, უფრო მეტიც — ჩვენი მიწა-წყლის მაქსიმალური ათვისება, დაცვა-შენარჩუნება სასიცოცხლოდ აუცილებელია. მხოლოდ ეთნოგრაფიას ძალუძს ამ საგანძურის სრულყოფილად წარმოჩენა და თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება, მხოლოდ ის გადაარჩენს სწრაფად გარდამავალ ყოფითს რეალიებს. როცა არქეოლოგი იგვიანებს, ასე თუ ისე მისატევებელია — მიწა სიძველეებს საიმედოდ ინახავს, ხოლო ეთნოგრაფიაში დაგვიანება დაუშვებელია, დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება.

**ლ. ფრუიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

**დროის მაჯისცემა**

# დაჯექ, დაწერე, დახატე!..

### ნარკვევი

**საბჭოთა** ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გაზეთის ან ჟურნალის კორესპონდენტი რომელიმე რაიონში რომ ჩავიდოდა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, რაიაღმასკომში შეივლიდა და იქ იკითხავდა — აბა, მეგობრებო, რას აპირებთ, რა გაქვთ დაგეგმილი, როგორ არის სოფლის კეთილდღეობის საქმე, რამდენი სკოლა უნდა ააშენოთ, რამდენი ქოხსამკითხველო უნდა გახსნათ, რამდენი კილომეტრი გზა უნდა გაიყვანოთ და ა. შ. ერთი სიტყვით, მაშინ ყველაფერი პროექტებში, ნახაზებში, ყველაფერი ოცნებაში იყო.

და დღეს ეს ოცნება უკვე ხორცშესხმულია და თვალი ცხადად ხედავს სკოლებისა და ბიბლიოთეკების მკვიდრ შენობებს, მოასფალტებულ გზებს, ათას სიკეთეს, განხორციელებულს ხალხის შრომითა და ჯაფით, ხალხის სიყვარულითა და ენთუზიაზმით; ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულა ქალაქები და სოფლები, გაიჭრა გზები, კალაპოტი უცვალეს მდინარეებს, ისინი დიდი ხანია ჩადგნენ ადამიანთა სამსახურში და ყველაფერი ეს, რასაც ხედავ და ამჩნევ, ვინც უნდა იყო — პოეტი თუ ჟურნალისტი, პუბლიცისტი თუ პროზაიკოსი, ყველაფერი თვითონვე შთაგაგონებს გულაიტანო უბის წიგნაკში ეს მოლივლივე და მჩქეფარე ცხოვრება, როგორც ამას პოეტი პაოლო იაშვილი მოუწოდებდა:

**დაჯექ, დაწერე, დახატე,**
**რითაც ცხოვრება ივსება,**
**მიეც დამშეულ ქაღალდებს**
**საშვილიშვილო თვისება.**

დიახ, ქაღალდზე გადაიტანე ყველაფერი ის, რასაც შენი ქვეყნის დიდ მშენებლობაში და წინსვლაში ხედავ, და ეს იქნება შენი წვლილი და ღვაწლი სამშობლოს წინაშე! ყოველი ჟურნალისტი, ყოველი მწერალი — თავისი დროის მემატიანეა, ჟამთა აღმწერელია.

დღეს ყველაფერი, რაც კეთდება ჩვენს ქვეყანაში, საერთოსახალხო საქმედ არის ქცეული. აბა, შეაჩერეთ ქუჩაში მიმავალი რიგითი მოქალაქე და ჰკითხეთ, რა კეთდება მის რაიონში, მის სოფელში. იგი ყველაფერს დაწვრილებით და საქმიანად გიამბობთ. ხალხი ქმნის, აშენებს საერთო ძალ-ღონით. როგორც მაქსიმ გორკი წერდა, ხალხი ქმნის ცხოვრების დიდსა და განუმეორებელ მოთხრობებსა და პოემებს. ხალხია პირველი ფილოსოფოსი და ყველა მატერიალური ფასეულობის შემქმნელი. ხალხი დგას დღეს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანში, ყველა მონაკვეთში და უკარნახებს დიდ ცხოვრებას წინსვლასა და გამარჯვებას.

გადავწყვიტე დავარღვიო მივლინებული ჟურნალისტ-კორესპონდენტის ჩვეულებრივი ძველი ტრადიცია და არ შევიდე იმ დაწესებულებაში, რომელსაც შეეძლება ამა თუ იმ ცნობების მიცემა რაიონის თუ სოფლის წინსვლისა და მშენებლობის შესახებ და მოგზაურივით, ანდა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ტურისტივით გავყვე ქალაქისა თუ სოფლის გაკოხტავებულ ქუჩებს და ყველაფერი ჩავიწერო უბის წიგნაკში, რასაც მოგზაურობის დროს შევამჩნევ, რაც თვალსა და გულს გაახარებს; და აი, მივემგზავრები ცხინვალში. მაგრამ ჯერ ინტერესმოკლებული არ იქნება, მკითხველს გავაცნოთ, თუ რას წერდა ცხინვალისა და მისი საქალაქო მეურნეობის შესახებ 1872 წლის 30 ივნისს გაზეთ „დროების" ფელეტონისტი „სემინარიელის" ფსევდონიმით.

„მოვაშორე ლიახვს თვალი და გავწიე შუა ცხინვალისაკენ, ძველი, უშნოდ აშენებული ქვიტკირისა და ფიცრული სახლები... ქუჩებზე ხომ ბევრი ლაპარაკი აღარ არის საჭირო; ვიწრო, უსწორ-მასწორო და ნაგვით სავსე და რაც შუა ცხინვალს უახლოვდებით, ანუ შედიხარ, იმდენად ქუჩებს უფრო და უფრო თანდათან ემატება თავისი ჩვეულებრივი ხასიათი. ალაგ-ალაგ ეს ხასიათი გამოუვლეველი და აყროლებული წუნწუხით გვირგვინდება".

აქ მეტად საინტერესოა ამავე ავტორის სხვა ფელეტონში დაბეჭდილი პოეტური, მწერლური სტრიქონები. ცხინვალში მოგზაური მწერალი ნაღვლიანად გაჰყურებს ლიახვის დაუდეგარ დინებას, ენატრება ხმაურიანი, ბობოქარი ლიახვის ბედი და წერს:

„მე დავუწყე ლიახვს ცქერა, ის გამფოთებით გარბოდა ქვემოთკენ, დიდხანს ვუცქირე იმის თავისუფალ ხტუნვას, — ნეტავი შენა, ლიახვო, ვამბობდი ჩემს გულში, ნეტავი შენა, რომ არავინ არის შენი ბატონი; შენი მბრძანებელი; ავის, უსამართლობისა და მხეცური ძალის ქვეშ არა ხარ შებოჭილი და დამუნჯებული! მიყვარხარ, ჩემო ლიახვო. მიყვარს შენი მარად წინსვლა! **მაგრამ როდესაც კი შენა გხედავ, რაღაცნაირი ჯავრი და სევდა იპყრობს ჩემს გულს. რა არის ეს ჯავრი? ეს სევდა? ისა, რომ ამოდენა ალაგს მხოლოდ შენ გხედავ წინ მიმავალს! მხოლოდ შენა გხედავ დამაბრკოლებლებთან მებრძოლს!"**

ეს ფელეტონი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, რომ წერილის ავტორი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოურია („ს ე მ ი ნ ა რ ი ე ლ ი" მისი ფსევდონიმია). მწერალმა 70-იან წლებში იმოგზაურა სამხრეთ ოსეთში და რამდენიმე ფელეტონი დაბეჭდა გაზეთ „დროებაში". მან ჭეშმარიტი მწერლის თვალით აღწერა ოსეთის ქალაქისა და სოფლის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდა მაშინ ოსეთის მთელი მოსახლეობა. ეს ჩვეულებრივი საგაზეთო ფელეტონები კი არ არის, არამედ მოთხრობაა ოსეთსა და მის ხალხზე.

გავიდა ხანი და ოსეთში დაიწყო ახალი ცხოვრება და ხალხის წინსვლა. და აი, ახლა გავეცნოთ ახალ ცხინვალს, რომ შვება და სიხალისე ვიგრძნოთ.

ნათელი, მზიანი დღეა, დინჯად მივუყვები ცხინვალის სუფთა ქუჩებს. ბავშვების ჟივილ-ხივილია, ზოგი სკოლიდან ბრუნდება, ზოგი სკოლაში მიდის. მე კი განვაგრძობ გზას და ცნობისმოყვარეობით ვაკვირდები ლამაზ მრავალსართულიან სახლებს, აივნებსა და ბაღებს.

— ვერ მიმასწავლით ახლომდებარე რომელიმე ბიბლიოთეკას? — ვეკითხები ერთ მოქალაქეს.

— აგერ, ბატონო ის გახლავთ ცხინვალის საოლქო ბიბლიოთეკა, — მითხრა და თვითონაც გამომყვა. შემდეგ ერთმანეთს გავეცანით. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსი გაბრიელ შათაშვილი აღმოჩნდა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო ბიბლიოთეკა ახალ, ლამაზ შენობაშია მოთავსებული, რომელიც შარშან აუგიათ. მისი ფართობი 4520 კვადრატული მეტრია. მშენებლებს ყველაფერი გაუთვალისწინებიათ, რაც კი ბიბლიოთეკას სჭირდება მკითხველთა მიღებისა და მომსახურებისათვის: ფართო და ნათელი დარბაზები, შესანიშნავად გაკეთებული წიგნის კარადები. აქ დაცულია 233059 ათასამდე წიგნი, ბიბლიოთეკას ემსახურება ოთხმოცამდე გამოცდილი და საქმის მცოდნე ბიბლიოთეკარი, რომლებიც დიდ მეთოდიკურ დახმარებას უწევენ აგრეთვე ოლქის ყველა რაიონისა და სოფლის ბიბლიოთეკებს.

ცხინვალში წარმატებით მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილება, გამოდის გაზეთები, ჟურნალი და ერთდროული ალმანახი, ქალაქს აქვს დრამატული თეატრი და განთქმული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მუზეუმები და სხვა კულტურული დაწესებულებანი. თამარაშენში, სადაც 1854 წელს დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი, გაიხსნა მისი სახელობის მუზეუმი, აქ წარმოდგენილია მასალები და დოკუმენტები მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

გაბრიელ შათაშვილმა დამათვალიერებინა ცხინვალის დიდი სამკერვალო ფაბრიკაც, სადაც 1200 კაცი და ქალი მუშაობს.

ფაბრიკა წელიწადში სახელმწიფოს აძლევს 16 მილიონი მანეთის შემოსავალს, სამკერვალო ფაბრიკის მიერ გამოშვებული სხვადასხვა მოდის ტანსაცმელი იგზავნება არა მარტო საქართველოს სავაჭრო ქსელებში, არამედ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებშიც. მათგან 27 დასახელების მოდელს მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მაგონდება ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები ოსების ჩაცმულობაზე: „ხოლო ცმულნი არიან ხამის პერანგით, საყელო ბერულად მოჭრილია". არც ისე დიდი ხნის წინათ, 20-იან წლებში, ჩვენც გვეცვა ხამის პერანგები, რომლებსაც გლეხის ქალი კუსტარულად შინ ქსოვდა. გარდა ამისა, ბავშვობიდანვე ისიც მახსოვს, თუ როგორი გატაცებით, გვიან საღამომდე ველოდებოდით დაბა მარტვილის ბაზრობიდან დედის დაბრუნებას, რომ ჩვენთვის მოეტანა ცნობილი ხელოსნების — ბირკაიების მიერ შეკერილი წაღები და წითელ პარასკევს, აღდგომის დღეს გაეეხარებინეთ. მაგრამ წაღების მოტანა და ყიდვა იმაზე იყო დამოკიდებული, გაყიდდა თუ არა დედა შავ ხურმას მარტვილის ბაზარზე, დამტვრეული კალათით ზურგით რომ მიჰქონდა ხოლმე. ზოგჯერ გაიყიდებოდა, ზოგჯერ კი არა. ყოფილა შემთხვევა, რომ ხურმა გადაუყრია იმ ღორებისთვის, მარტვილის ბაზარზე თავისუფლად რომ დასეირნობდნენ. თვით ცარიელი დაბრუნებულა. დედა ბავშვების გულს მაინც გაახარებდა, საქალამნე ტყავს — ძროხის ან ხარისას სადმე მეზობლისაგან იშოვიდა და მახათით შეგვიკერავდა. ჩვენ ამითაც კმაყოფილი ვიყავით.

ჩაცმა-დახურვა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის პირველი ნიშანი და ხალხის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. გაიარეთ ცხინვალში, დააკვირდით ხალხს, თუ როგორ კოხტად და ლამაზად არიან ჩაცმულნი, ისინი, ვისაც არცთუ ისე შორეულ წარსულში ხამის პერანგი ეცვა.

დღეს ცხინვალის ტერიტორიაზე იხსნება და მწყობრში დგება ახალ-ახალი კინოთეატრები, ახალ-ახალი კულტურის სახლები, სამკითხველოები და მუზეუმები. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა უფრო გაუმჯობესდეს და გამრავალფეროვანდეს მკითხველთა და მაყურებელთა მომსახურება.

განახლებულ ოსეთს გულითადი სიტყვები უძღვნა გალაკტიონმა: „ახალი გულის, ახალი ბედის მომღერალია ჩანგი ოსეთის".

ცხინვალიდან ქართლის შუაგულში — გორში ჩავედი. მაგრამ სანამ თანამედროვე გორის სურათს გაგაცნობდეთ, მინდა გაგახსენოთ ილია ჭავჭავაძისა და სოფრომ მგალობლიშვილის საუბარი.

1877 წელს გორიდან თბილისში ილიას სანახავად ჩამოსულ ახალგაზრდა მწერალს აი, რა დარიგებას აძლევს ილია ჭავჭავაძე:

„პროვინციები ჩამორჩენილია კულტურულ ცხოვრებას, განათლებას, კაცები არა გვყავს სოფლად, რომ გაათვითცნობიეროს იგი. ყველა თქვენგანმა პროვინციის ქალაქებში უნდა ჯგუფები შეადგინოთ და ამ ჯგუფებმა იმოქმედონ.

— მაინც რამდენი კაცი იქნებით გორში? — მკითხა ილიამ.

— სამი-ოთხი, მაგრამ თითო-ოროლა სოფელშიაც მოიპოვებიან განათლებული პირნი.

— შრომაა საჭირო, შრომა პატიოსანი!.. უნდა ჩააწვეთოთ ჩვენს ხალხს, ყველას განურჩევლად წოდებისა, იშრომონ, იშრომონ, რომ ეკონომიკურად მოღონიერდნენ. დღემდე ჩვენი გლეხობა გალეწილი იყო ბატონყმობისაგან, დღეს მან თავი დაიხსნა, მაგრამ მარტო ვერ გასწევს ჭაპანსა, მას ყურის გდება უნდა, გზის ჩვენება და ეს კი ახალგაზრდობის საქმეა". ასეთი საინტერესო დარიგებით გამოისტუმრა ილიამ სოფრომ მგალობლიშვილი გორში.

აი კიდევ საინტერესო წერილი, რომელიც 1893 წლის 4 ნოემბრის გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა და რომელსაც ასეთი სათაური აქვს „ხმა პროვინციიდან (აღწერილობა გორისა შემოდგომაზე)".

... „ჩვენი კურთხეული გორი რაღანაირ ყოფაში უნდა იყოს ამჟამად? ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, წუნწუხში ამოვლებული ქათამი, რომელიც მზის გულზე აბუზულა და საცოდავად ცახცახებს! სწორედ ესეთ სასაცილო ქათამს მოგვაგონებს დღეს ჩვენი „ქართლის მეთაური". ავდრისაგან ჩამორეცხილი სახლის კედლები ისეთი დაძმარებულნი გამოიყურებიან, თითქოს ყოველ წამს ცისა და ქვეყნის დაქცევას მოელიანო, აქლემის ყელივით დაკლაკნილი ვიწრო ქუჩები სავსეა მუხლამდის სარევი ტალახითა და ზოგან ლაფის მორევები ტრიალებენ, რომ მათ გვერდზე გავლა-გამოვლა დიდ გულადობად უნდა ჩაითვალოს ადამიანისა. რაღა თქმა უნდა, რომ ყოველი აქაური სახლის პატრონი ცდილობს, რათა მხთ ქუჩაში შეტბორებული წუნწუხი თავის სახლსა და ეზოში არ შეუშვას; ამიტომ ის ამ სახლისა და ეზოს კედლების გარედან მირის, ქუჩის აქეთ-იქით ნაპირებს ამაღლებს, ვაი იმ მოსიარულის ყოფას, რომელიც ამ ამაღლებულს ადგილზედ გასვლას მოისურვებს! წვიმისაგან ისე არიან ისინი დამბალ-დასიპებულები, რომ მათზე ორ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს კაცი ისე, რომ მესამეზე მის წინ გაჭიმულ მორევში არ ამოჰყოს თავი... ამის გამო ზოგიერთნი, გამოცდილნი და აქაურ გარემოებათა მცოდნენი, ისევ დაკარწახებასა და შუა ლაფში ბაყაყულაპიასავით ტოპვას არჩევენ, ვიდრე მოხსენებულ ხაფანგში კისრის მოტეხვასა, და ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, რა სახეირო სანახავი იქნება ამისთანა ქუჩაში მომავალი რომელიმე დარბაისელი ქართველი, ანუ ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული მანდილოსანი".

რა სასიხარულოა, როდესაც გაივლი დღევანდელი გორის ლამაზად და კოხტად მოვლილ, ფიჭვებით და ჭადრებით მოჩრდილულ ქუჩებში, გორის ხსენება ჩვენს ხსოვნაში აღადგენს მოგონებებს გორის ციხის ლეგენდარულ თავგადასავალზე, აღადგენს მთელ იმ ტრაგედიას, რომელიც გორს გადაუტანია საუკუნეების განმავლობაში მომხდური სხვადასხვა ჯურის მტრისაგან, მაგრამ გორი დღემდე დგას, როგორც უტეხი სალი კლდე.

დღეს გორი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ქალაქია ახალი მრავალსართულიანი სახლებით, სწორი ქუჩებით, ლამაზი სკვერებითა და პარკებით, შადრევნებითა და დეკორატიული მცენარეებით. დიახ, გორი ნამდვილი ქალაქ-მუზეუმია.

გორი ქართლის შუაგულის კულტურის დიდი ცენტრიც არის, სადაც მოქმედებს გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, კულტურისა და დასვენების პარკი, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. გახსნილია მწერალთა კავშირის განყოფილება. 1980 წელს გორში სამუსიკო სასწავლებელთან შეიქმნა საოპერო სტუდია, სადაც დაიდგა ავსტრიელი კომპოზიტორის ქ. გლიუკის ოპერა „ორფეოსი" და ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „ნიშნობა". გორში საოპერო სტუდიის გახსნა იყო არა მარტო გორელების, არამედ მთელი ქართველი ხალხის დიდი დღესასწაული.

გორში გარდა სამუსიკო სასწავლებლისა, გახსნილია მუსიკალური სკოლები და ტექნიკუმები. აქ მრავალი საწარმოო დაწესებულებაა, მათ შორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება, საკონსერვო გაერთიანება, ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხანა, შპალსაჟღენთი ქარხანა — ერთადერთი მთელ ამიერკავკასიაში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი.. ყველას ვერც მოთვლი.

გორის ციხე სინონიმია სიმაგრისა და უძლეველობის. ასე ესმოდა ეს ქართველ ხალხს, ასე ესმოდა აკაკი წერეთელს, როდესაც წერდა:

**მოგზაურო! ვერა ჰხედავ**
**გორის ციხეს მაღალ ხერხზე,**
**ჭირ-ნახულს და გამარჯვებულს**
**სუყოველთვის ქართლის მტერზე?**
**მიუვალს და მიუწვდომელს**
**ტინი კლდე აქვს საფეხურად,**
**ძველისმგონი დღესაც კიდევ**
**გადმოჰყურებს ამაყურად!..**

აი ამ უძლეველ გორის ციხესთან ახლოს 1979 წელს დაიდგა გამარჯვების დიდი მემორიალი „მეჭაბუკის ქანდაკება", რომელზეც წარწერილია რუსთაველის უკვდავი სტრიქონი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". ამ გრანდიოზული ძეგლის ავტორები არიან საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექტორი — კომკავშირის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია. ლომზე ამხედრებული ქართველი ვაჟკაცი სიმბოლურად გამოხატავს ჩვენი ხალხის გმირობას, მამაცობასა და უდრეკელობას. ქანდაკება შესანიშნავ ადგილას არის აღმართული, უძლეველ გორის ციხესთან. მემორიალის გახსნის დღეებში ლადო გუდიაშვილი გორის გაზეთ „გამარჯვებაში" წერდა: „განხორციელდა ჩემი დიდი ხნის ოცნება — მონახულ იქნა ქართული საბჭოთა სკულპტურის სახე, მისი ეროვნული ფორმა...

მე ძალზე მიხარია, რომ მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი არის ახალი ქართული მონუმენტური სკულპტურის ერთ-ერთი დამაარსებელი".

ეს ძეგლი საუკუნეებს გაუძლებს, ისევე როგორც გაუძლო გორის ციხემ და მრავალ თაობას გადასცემს გმირულ ისტორიას იმ ერისას, რომელსაც აღუშენებია მკვიდრი გორის ციხე და მის გვერდით აღუმართავს მხეჭაბუკის ქანდაკება—მტრებზე გამარჯვებისა და გმირი ხალხის უკვდავების სიმბოლო.

**ალ. სიგუა.**

---

**ფიქრები აღზრდაზე**

# სკოლაში სიყვარული დადის

**არითმეტიკული** ფორმულების გვერდით მე-5, მე-6 კლასში ერთი ფორმულაც ჩნდება: თამრიკო + გია = სიყვარულს. დღის ამ დროს კლასის ცხოვრება. უხილავი კონკურსი სიყვარულისა იწყება. ამ კონკურსში ებმებიან არა მარტო კლასის „ვარსკვლავები", არამედ ნაკლებად პოპულარულნიც. ვინ ვის რა უთხრა, ვინ ვის დაუთმო ადგილი, ვინ ვის რა საჩუქარი მოუტანა, ვინ ვისთან იყო დაბადების დღეზე, ვინ ვის გვერდით იჯდა, — ამ ურთიერთობის გარკვევა უპირველეს ხასიათს იძენს.

უფროსკლასელები შედარებით უფრო სერიოზულად უდგებიან სიყვარულის კონკურსს. კლასში ერთი საერთო რვეული დადის, რომელშიც კლასის თითქმის ყველა ბავშვი წერს თავის შეხედულებას სიყვარულზე, ბედნიერებაზე, ქალისა და მამაკაცის ღირსებაზე და სხვა. იქნებ ეს თამაშია? თანაც მავნე თამაში? რამდენ მასწავლებელს ჰგონია ასე, რამდენი დასდევს ამ რვეულს ხელში ჩასაგდებად. მაგრამ, მოდით, ჩავუფიქრდეთ ამ ამბავს, უფრო ახლოს მივიდეთ ჩვენს შვილებთან.

შეყვარებული წყვილი ქუჩაში მოდის. გოგონას ქარი უწეწავს თმას და ბიჭს სახეზე ეფარება. ბიჭი გოგონასაკენ ხრის თავს, თმაში ეხვევა, იცინიან... ჩვეულებრივი გოგონაა, სულაც არ არის განსაკუთრებით ლამაზი, მაგრამ თამრიკოს ის მეთუნახავად მოეჩვენა. იმიტომ, რომ მარტო არ იყო. თამრიკომ თავი საცოდავად, უბედურადაც კი იგრძნო: იგი არავის უყვარს. ან კი შეიყვარებს ვინმე? ლამის ატირდეს...

ახალგაზრდობის წლებს გაზაფხულს ადარებენ. მაგრამ ამ წლებს თავისი საზიდი მძიმე ტვირთიც მოაქვს. სქესობრივ მომწიფებას თან ახლავს მღელვარე განცდები. უფროსკლასელები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ სიყვარულის კონკურსში ჩასაბმელად არსებობს რაღაც უნივერსალური წესები (აი იმ საერთო რვეულის პოპულარობის მიზეზი). განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ თვისებებს, რომლებიც უკავშირდება მათი წარმოდგენით შექმნილ კაცისა და ქალის სტერეოტიპს. მათი აზრით, არსებობს „სექსუალურობის შესატყვისი" გარეგნობა, რომელთან შედარებით საკუთარი თავი ულამაზოდ ეჩვენებათ. ასეთი მოჩვენებითობა ასაკთან ერთად გაივლის ხოლმე. მაგრამ ადვილად შესაძლებელია, მოზარდს დაუტოვოს მორცხვობა, ურწმუნობა საკუთარი თავისადმი. ასეთებს უჭირთ ურთიერთობის დამყარება თანატოლებთან და ემოციურ უკმარისობას განიცდიან. ამიტომ არის ქალიშვილობასა და ჭაბუკობაში გადასვლა მტკივნეული. ეს გადასვლა ნახტომს ჰგავს, რომლის დროსაც წყდება ბავშვობასთან დამაკავშირებელი ძაფები. ბავშვობასთან დამაკავშირებელი ერთი ასეთი ძაფი მაშინ წყდება, როცა ჩნდება კითხვები:

რა არის სიყვარული?
როგორ შევიყვარო?
როგორ ვიყო ბედნიერი?

ეს კითხვები ადამიანებს მარტო ყრმობაში კი არა, მთელი სიცოცხლე აფიქრებთ, მაგრამ როცა ისინი პირველად გაჩნდება, ცნობიერებაში თითქოს აფეთქება ხდება. როგორ გაუძლებს ყმაწვილი ამას? ამაზე შემდეგ ბევრად არის დამოკიდებული მისი ბედი.

მაშ ასე: სკოლაში სიყვარული დადის. ჭაბუკური სიყვარულის ანალიზს არ ვაპირებთ. ჩვენ მხოლოდ იმაზე ვისაუბრებთ, თუ რას ფიქრობენ უფროსკლასელები სიყვარულზე, როგორი შეხედულებისანი ვართ ჩვენ, მშობლები, მასწავლებლები მათს სიყვარულზე, შეიძლება თუ არა სიყვარულის გრძნობის აღზრდა?

ჩვენ მიერ მოწყობილმა ანკეტურმა გამოკითხვამ (გამოკითხულია თბილისის სკოლების 715 უფროსკლასელი მოსწავლე) გვიჩვენა: უფროსკლასელთა 100 პროცენტს სიყვარული მიაჩნია ოჯახის სიმტკიცის საფუძვლად. მათგან ერთი ნახვით სიყვარული შესაძლებლად ჩათვალა მოსწავლეთა 41 პროცენტმა, 29 პროცენტმა სიყვარული ბედს დაუკავშირა, 21 პროცენტმა კი სიყვარული წარმოადგინა ზნეობრივი მომენტებით („სიყვარული პასუხისმგებლობაა", „სიყვარულს დრო სჭირდება", „სიყვარული ბრძოლაა" და ასე შემდეგ).

სურათი ნათელია: ჩვენი შვილები ფიქრობენ, აქვთ თავიანთი წარმოდგენები სიყვარულზე, ეძებენ პასუხს კითხვებზე. ეს ძიება ადვილი როდია! სუხომლინსკი ასეთ ძიებას „სულის შრომას" უწოდებდა. მაგრამ სწორია ის პასუხი, რომელსაც ყმაწვილები ასეთი „სულის შრომის" შედეგად მოიძიებენ?

აი აქ უნდა ვთქვათ მშობლებმა და მასწავლებლებმა ჩვენი სათქმელი. ამ დროს უნდა აშენდეს ჩვენსა და შვილებს შორის სულიერი ხიდის მტკიცე ბურჯები და თუ ვერ აშენდა, ან უფრო უარესი — სწორედ ახლა დაინგრა, ჩვენა ვართ დამნაშავე — დრო არა გვაქვს შვილებთან ურთიერთობის, ხშირად არც ცოდნა გვყოფნის, ტაქტი გვაკლია.

პირველი კბილი, პირველი სიტყვა, პირველი გაუბედავი ნაბიჯი, პირველი დღე სკოლაში... — ჩვენ სულ შვილთან, შვილის გვერდით ვართ.

პირველი სიყვარული, პირველი პაემანი, დაბნეულობა, მოულოდნელი. სამიანი, ორიანიც კი...

გაუთავებელი შეკითხვები: სად იყავი, რატომ დაიგვიანე, ვისი შვილია...

შეგონებანი: რა დროს შენი სიყვარულია, ახლა მთავარია სწავლა, სიყვარულს მოესწრები, თავს ნუ გვჭრი...

— გამანებეთ თავი, რა გინდათ ჩემგან?

ჩვენი შვილი მარტოა — ვერ ვუძებნით გასაღებს მის აფორიაქებულ სულს. ამ დროს კი შეიძლება სხვები მოიძებნონ, სიამოვნებით რომ ასწავლიან ჩვენს შვილებს, თუ რა არის სიყვარული, ვინ არის ლამაზი ადამიანი. ეს შემთხვევითი ადამიანები ასწავლიან, დაარწმუნებენ კიდეც — უხამსი ანეგდოტებით, ქარაგმებით. მაშინ კი, როცა ჭაბუკური მაძიებელი სული დადუმდება (რადგან ჰგონია, რომ უკვე იპოვა პასუხი, გაიგო ყველაფერი), შიშველ ინსტინქტს ეძლევა გასაქანი.

არასრულწლოვანთა გათხოვება, სახლიდან გაპარვა, ზოგჯერ — არასრულწლოვანთა დანაშაულიც უკანასკნელ წლებში ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის სიყვარულისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელიც გახლავთ.

— დარჩი ჩემთან! — და გოგონა ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, თანხმდება.

— მივატოვოთ ყველაფერი, წავიდეთ, — და მშობლების სამსახურიდან დაბრუნებამდე იპარებიან. ასე თანდათანობით უახლოვდება ერთმანეთს სიყვარული და ქორწინებამდე ინტიმური კავშირი.

ხშირად ამას აქსელერაციას, უცხოური ინფორმაციის გავლენას აბრალებენ. მაგრამ აქსელერაცია პასუხისმგებლობისაგან, ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისუფლება როდია. ეს ფიზიოლოგიური და სოციალური პროცესია და მოითხოვს მიზანმიმართულ მუშაობას, სქესობრივი აღზრდის დახვეწილი ფორმებისა და მეთოდების ძიებას.

ანკეტური გამოკითხვით ირკვევა, რომ ჩვენი გოგონები ხვალინდელი ქალები, ცოლები, დედები მამაკაცის ღირსებათა ჩამოთვლისას, უპირველესად აფასებენ: ქალისადმი პატივისცემას, მოხერხებულობას, სილამაზეს, ძალას, იუმორის გრძნობას. ღირსების ისეთი მაჩვენებელი, როგორიც არის შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებლობა, ზოგს საერთოდ გამორჩა მხედველობიდან, ზოგმა კი მესამე, მეოთხე, მეხუთე ადგილზე გადაიტანა. მამაკაცის ჭკუას ასევე მეოთხე, მეხუთე ადგილი მიაკუთვნეს. მამაკაცის ღირსების ისეთი მაჩვენებელი, როგორიც არის ზრდილობა, კეთილშობილება მეათე, მეთერთმეტე ადგილზე გადაიტანეს. უმეტესობას მამაკაცის ღირსების ისეთი ნიშანი, როგორიც არის მეოჯახეობა, საერთოდ გამორჩა მხედველობიდან.

ქალის დამახასიათებელი თვისებებიდან თვით გოგონებმაც პირველ ადგილზე წამოსწიეს სილამაზე, პრაქტიკულობა, ენერგიულობა. შემდეგი ადგილები. განაწილდა პატიოსნებასა, ჭკუასა და ქალურ სიამაყეზე. მამაკაცისადმი პატივისცემა და დიასახლისობა ბოლო ადგილებზე აღმოჩნდა.

თვით ბიჭებიც გოგონებში სილამაზესა და ენერგიულობას აფასებენ უპირველესად. მოკრძალებამ, ქალურობამ, დიასახლისობამ მათს ანკეტებში მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე ადგილი დაიკავა. მამაკაცისათვის აუცილებელ თვისებათა შორის ბიჭები პირველყოვლისა აფასებენ გამბედაობას, ნებისყოფას, მოხერხებულობას. შრომისმოყვარეობას მათთანაც მეექვსე, მეშვიდე ადგილი ერგო.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, როგორც ვხედავთ, აუცილებელია უფროსკლასელებთან მუშაობა, მათი შეხედულებების გადასინჯვა, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მშობლებისთვისაც. პრესაში, ტელევიზიასა და რადიოს ახალგაზრდული გადაცემების პროგრამებშიც ამ პრობლემებმა სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. თბილისის 84-ე და 101-ე სკოლებში ფაკულტატიური კურსის — „საბჭოთა ოჯახის ზნეობრივი საფუძვლები და უფროსკლასელთა მომზადება საოჯახო ცხოვრებისათვის" — პროგრამით მუშაობა უკვე მიმდინარეობს. როგორ, რა მეთოდებით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცილდება საგაზეთო სტატიის შესაძლებლობას. მაგრამ ერთი კი შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: მარტო ზნეობის ქადაგება, მორალური შეგონებანი ვერას გვიშველის. გარდა ამისა, როგორადაც უნდა ეცადოს სკოლა, თუ ოჯახმაც თავისი წვლილი არ გაიღო, სქესობრივი აღზრდის პრობლემა კვლავაც მოუგვარებელი დაგვრჩება. სწორედ აქსელერაციის გამო როგორც სკოლამ, ისე ოჯახმა მთელი შესაძლებლობა უნდა მოახმაროს ვაჟებსა და გოგონებს შორის ზნეობრივი ურთიერთობის, გრძნობათა კულტურის აღზრდას. ა. მაკარენკო ამბობდა: სქესობრივი აღზრდა ჰარმონიულად უნდა იყოს დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების ორ მხარესთან — სიყვარულთან და ოჯახთან. სქესობრივი აღზრდა უნდა იყოს სწორედ სიყვარულის აღზრდა, მომავალი მეოჯახის აღზრდა...

ბავშვის დატვირთვა სხვებზე, ახლობლებზე ზრუნვით, დისციპლინა და წესრიგი ყოფითს ცხოვრებაში, საოჯახო შრომის სწორი ორგანიზაცია, აუცილებელი რეჟიმი, — თბილი ლოგინიდან ადრე წამოდგომა — აი, ეს საუკეთესო ვარჯიშია ნებისყოფისა, საუკეთესო ზნეობრივი და, მაშასადამე, „სქესობრივი წრთობაა".

შეძლო ბავშვის გაუთავებელი მოთხოვნების მოთოკვა, შეაჩვიო, რომ კი არ მოითხოვდეს, არამედ გთხოვდეს, ისიც იცოდეს, რა ითხოვოს და როდის — ეს ყველაფერი მჭიდროდ უკავშირდება სქესობრივ აღზრდას. სიყვარული ხომ იმას ნიშნავს, რომ სხვა ვინმე საკუთარ თავზე მეტად შეიყვარო! და თუ სხვა საკუთარ თავზე მეტად გიყვარს, მაშ, დაგიძლევია ეგოიზმი — ეს ხომ უდიდესი ზნეობრივი გამარჯვებაა! თუ ვიღაც გიყვარს, რას აკეთებ მისთვის? — ვასწავლოთ ჩვენს ბავშვებს, რომ ამგვარ კითხვებზე პასუხი ნიადაგ ჰქონდეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, დედასთან, მამასთან, დასთან, ძმასთან ურთიერთობაში, რადგან: „რამდენადაც უფრო ფართოა არასქესობრივი სიყვარულის სფერო, იმდენად უფრო კეთილშობილური იქნება სქესობრივი სიყვარული". ესეც მაკარენკოს ნათქვამი გახლავთ.

სქესობრივი აღზრდა — ეს არის როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ღირსების აღზრდა. გოგონა ქალად, მანდილოსნად უნდა აღიზარდოს, ბიჭი — კაცად, ვაჟკაცად. ეს ხომ აღიარებული ჭეშმარიტებაა, ამის გაცხადება ხომ ღია კარის შემტვრევასა ჰგავს? მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე ისევ დიდი სხვა-ბასი გვმართებს. არ არის მისაჩქმალი და დასავიწყებელი ის ამბავი, რომ გოგონასა და ვაჟის სქესობრივი ქცევა სოციალურ-ფიზიოლოგიურად დიდად განსხვავდება. ის კი არა, სწორედ ეს უნდა ჩავაგონოთ ჩვენს შვილებს, უნდა ავუხსნათ, რომ ქალისათვის ქარაფშუტობას, ზნეობრივ კომპრომისს არა მარტო სერიოზული შედეგი (მაგალითად, არასასურველი დედობა) მოჰყვება, არამედ გოგონას „ქცევის თავისუფლება" ჭაბუკის მამაკაცური თავმოყვარეობის ხელყოფაც არის. რომ ასეთ გოგონებს მხოლოდ დროებითი, მოჩვენებითი წარმატება აქვთ, ნამდვილ პატივს კი არავინ სცემს.

სიყრმიდანვე ჩავუნერგოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ქალისა და მამაკაცის ღირსების გრძნობა — აი აუცილებელი პირობა სიყვარულის გრძნობის აღზრდისათვის.

**რ. ირემაშვილი.**

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში გუშინ გაიმართა ნ. ბ. მახარაძის დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის თავი.

# ბოლშევიკი ისტორიკოსის საქმე და გზა

ჩვენი საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ძველი ბოლშევიკის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თვალსაჩინო საბჭოთა ისტორიკოს-მკვლევარის ნიკოლოზ ბარნაბის ძე მახარაძის დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის თავს. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მშრომელი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უანგარო სამსახურის შესანიშნავი ნიმუშია. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება და მტკიცე იდეურობა, დიდი ერუდიცია და მაღალი პროფესიული მომზადება, უშრეტი ენთუზიაზმი და შესაშური შრომისმოყვარეობა მას საშუალებას აძლევს მუდამ ცხოვრების შუაგულში იდგეს და ნაყოფიერად ემსახურებოდეს საყვარელ საქმეს.

ნ. მახარაძე 1901 წლის დეკემბერში დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ გომში. მის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა ბიძამისმა — ცნობილმა რევოლუციონერმა, შემდგომში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწემ ფილიპე მახარაძემ. 1911 წელს, როცა ფილიპე დონის როსტოვის ოლქში გადაასახლეს, მან ძმისწულიც თან წაიყვანა. მეშახტეთა ქალაქ ალექსანდროვსკგრუშევსკში რევოლუციონერ მუშათა წრეში გატარებულმა ორმა წელმა განსაზღვრა ნ. მახარაძის ცხოვრების მთელი გზა.

ნ. მახარაძე ბოლშევიკთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოვიდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა.

თებერვლის რევოლუციამ ნ. მახარაძეს ოზურგეთის სასწავლებელში მოუსწრო. ამ დროს იგი უკვე რევოლუციურად იყო განწყობილი და ბოლშევიკური ორგანიზაციების დავალებებს ასრულებდა. 1917 წლის მაისში ნ. მახარაძე აქტიურად მონაწილეობდა ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის საქალაქო კლუბის დაარსებაში. კლუბის დამფუძნებელ კრებაზე იგი გამგეობის შემადგენლობაში აირჩიეს. ეს იყო საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში მოსწავლე ახალგაზრდობის ერთ-ერთი პირველი რევოლუციური კლუბი, რომლის საქმიანობამ ბოლშევიკური ორგანიზაციების მაღალი შეფასება და ყურადღება დაიმსახურა.

1917 წლის ივლისში 16 წლის ჭაბუკი ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღეს. ახალგაზრდა კომუნისტი ფართო ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდობაში, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნ. მახარაძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში დგება. მას ირჩევენ ჯერ ბოლშევიკური უჯრედის მდივნად, შემდეგ კი რაიონულ ორგანიზატორად.

ნ. მახარაძე მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა 1919 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეა. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი იძულებული გახდა არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის შემდეგ (1920 წლის მაისიდან) კი ფართო პარტიულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა და აქტიურად თანამშრომლობს ბოლშევიკურ პრესაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ნ. მახარაძე პარტიულ სამუშაოზეა: იგი ჯერ ოზურგეთის სამაზრო კომიტეტში მუშაობს, შემდეგ კი რაიკომის მდივნად.

1922 წლის იანვარში ნ. მახარაძე მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობის მუშაობაში როგორც ოზურგეთის პარტიული ორგანიზაციის დელეგატი.

1923-1926 წლებში ნ. მახარაძე ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტია, ამავე დროს პარტიულ სამუშაოზეა. 1925 წლიდან იგი მუშაობდა ჯერ საქართველოს კპ (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის, შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1931-1934 წლებში ნ. მახარაძე სწავლობდა მოსკოვში, წითელი პროფესურის ინსტიტუტში, ამავე დროს ლექციებს კითხულობდა მოსკოვის სამართლის ინსტიტუტსა და საკავშირო პროფსაბჭოს უმაღლეს სკოლაში.

ნ. მახარაძე ისტორიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლესი განათლების ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორთაგანია. იგი სხვადასხვა დროს იყო თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. მისი ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი კოლექტიური ნაშრომი და დოკუმენტების კრებული საქართველოში რევოლუციური მოძრაობის, სოციალისტური მშენებლობისა და პარტიის ისტორიის საკითხებზე.

ნ. მახარაძე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი მონოგრაფია, ნარკვევი და სტატია, რომლებშიც მაღალ მეცნიერულ დონეზეა გამოკვლეული XIX და XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ნ. მახარაძის ბევრმა ნაშრომმა ფართო საზოგადოებრიობისა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მისი ერთ-ერთი პირველი მონოგრაფია, რომელიც იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებისადმია მიძღვნილი, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მიღწევად მიაჩნდა. „... საქართველოს აჯანყებათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში, — წერდა სახელოვანი მეცნიერი, — ეს ნაშრომი თუ ყველაზე წინ არ დგას, არც არავის ჩამოუვარდება... ამ ნაშრომის სახით ჩვენს ისტორიოგრაფიას სერიოზული ნარკვევი შეემატა".

ნ. მახარაძის მეცნიერულ შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სადოქტორო დისერტაციას „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში", რომელსაც აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა. ეს მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე აგებული საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც წარმატებით არის გაშუქებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის მრავალი ურთულესი პრობლემა.

ნ. მახარაძის აქტიური მონაწილეობითა და თანაავტორობით შეიქმნა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", რომელიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის სისტემატური გადმოცემის პირველ ცდას წარმოადგენს და ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაფართოების მყარ საფუძველს ქმნის.

ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, პარტიისა და ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ნ. მახარაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მედლებით, სიგელებით, მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ღვაწლმოსილი მეცნიერი დღესაც ენერგიულად განაგრძობს მუშაობას, არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო საბჭოების წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოქტომბრის რევოლუციის შემსწავლელი საპრობლემო საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე.

ამ დღეებში ნ. მახარაძემ რესპუბლიკის ძველ ბოლშევიკთა ჯგუფთან ერთად მიიღო საპატიო სამკერდე ნიშანი „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში ყოფნის 50 წელი".

გულწრფელად ვულოცავთ ამაგდარ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს დაბადების 80 წლის თავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს.

**ი. კაჭარავა,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ფ. ლომაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# ბედნიერება დაგვეკვებოთ

საახალწლოდ დიდი ზეიმი იყო დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს საწარმოში, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მრავალჟამიერის ხამო ჰანგები ეფინებოდა ეზო-მიდამოს. ორი ახალდაქორწინებ უ ლ ი წყვილი, თავისი მაყრიონით ქარხნის დიდების მუზეუმისკენ მიემართებოდა, სადაც ამ დღეს გაიხსნა სარიტუალო დარბაზი.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. გუჯაბიძემ დამსწრე საზოგადოებრიობას გააცნო ახალდაქორწინებულები — ზეინკალი მერაბ ლოხიშვილი და მისი საცოლე ნონა იახვიშვილი, აგრეთვე ოსტატი-კონტროლიორი დავით კობახიძე და თამარ კალმახელიძე.

— დღეის ამას იქით — თქვა კ. გუჯაბიძემ, — ამ დარბაზში გაიმართება ჩვენი საწარმოს ცხოვრებაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ქორწინება, ახალშობილთა რეგისტრაცია, მუშად კურთხევა, სამხედრო სამსახურში გაწვევა თუ პენსიაზე გაცილება.

ლენინის რაიონის მმაჩის ბიუროს გამგემ ა. თავამაიშვილმა ახალდაქორწინებულთ ქორწინების მოწმობები გადასცა, შემდეგ კი დაიწყო ტრადიციული მილოცვა.

ახალგაზრდებს ბედნიერებისა და კარგი ოჯახების შექმნას ულოცავდნენ ცნობილი მუშები გ. გაჩეჩილაძე, კ. ილურიძე, მშობლები, ნათესავები და მეგობრები.

ამავე დღეს ქარხნის თანამშრომლებს მარინე და რამაზ ბოგვერაძეებს საზეიმოდ გადასცეს მათი ვაჟის მიხეილ ბოგვერაძის დაბადების მოწმობა.

დიდხანს გაისმოდა სარიტუალო დარბაზიდან მეჯორწინეთა მხიარული ხმები, გუგუნებდა მრავალჟამიერი.

(„კომუნისტის" კორ.)

სურათზე: სარიტუალო დარბაზში ახალდაქორწინებულთა პირველი რეგისტრაცია.
ჯ. ლომაძის ფოტო.

# ჯარისკაცის სახლი

ახმეტის რაიონის სოფელ ყვარელწყალში სიყვარულით უვლიან სახლს, რომელიც ეკუთვნოდა დიდი სამამულო ომის მონაწილეს, შინმოუსვლელ დავით ხადილაშვილს.

ეს სახლი, ეს კარმიდამო — სევდაა უნელებელი,
ზოგს ცოლი დარჩა, ზოგს — შვილი სიცოცხლის
გამგრძელებელი.
აქ ვინღა დარჩა? — ვკითხულობ, პასუხს მაძლევენ: არავინ!
განგებავ, კეთილს აშორე ბედი, ასეთი მზარავი!
სახლის მფლობელის სიკვდილი სიკვდილზე უფრო მეტია,
მისი ხანმოკლე სიცოცხლე მართლაც გულდასანყვეტია.
ეტირი, ეს გული ალალი მეტკინა, ძლიერ მეტკინა,
ვინ იცის, ჩემებრ ამ ბინას კიდევ რამდენმა შესტირა!
შვებით უმზერდა ყვარელწყალს შემკულს ხასხასა მწვანითა,
მტერსა, თავდამსხმელს დაელენავ, — ომში ამ ფიქრით წავიდა.
შრომაც იცოდა, ლხინიცა, ღრეობა იყო? — ღრეობდა,
ჯან-ღონით სავსეს გულდაგულ ვერავინ მოერეოდა.
ეტრფოდა, ტკბილად უმღერდა გაზაფხულს, მორთულს
მწვანითა,
სიმღერის მოსიყვარულე ფრონტზე სიმღერით წავიდა.
უყვარდა ერთი ლამაზი — დილის შუქნათლის სადარი,
ვინ იცის, იგი მშვენება რას ფიქრობს, ანდა სად არი!
ცხოვრებისათვის ნაგები — ყველას ცივ დუმილს ახლის,
უტირლად ვერვინ ვერ ნახა შინმოუსვლელის სახლი.
აქ, მარტოობამ კერისამ მნახველნი ბევრჯერ შეჰყარა,
სახლო, პატრონი აღარ გყავს, გივლის, გპატრონობს ქვეყანა!

**შაქრო სამადაშვილი.**

# პოეტის ახალი კრებულები

ქართულ და რუსულ ენებზე თითქმის ერთდროულად გამოვიდა გივი გეგეჭკორის პოეტური კრებულები „აკილის ფურცლები" და „ჩიტების გამოღვიძება". ერთი „მერანმა" გამოსცა, ხოლო მეორე — „სოვეტსკი პისატელმა".

ორივე კრებულში ქართველი და რუსი მკითხველები გაეცნობიან ბოლოდროინდელ ნაწარმოებებს, რომლებშიც გ. გეგეჭკორი კვლავაც ერთგული რჩება მისთვის დამახასიათებელი პოეტური და ზნეობრივი პრინციპებისა. ქართული კრებულის რედაქტორია მ. ჯაფარიძე, მხატვარი — თ. მირზაშვილი; რუსულ კრებულის თარგმანი ეკუთვნის იუნა მორიცს, რედაქტორია ე. ბალაშოვი, მხატვარი — ი. სუსლოვი.

# ახალი სიმღერის მოლოდინში

„...მოლოდინით დაღლილმა სულმა წვიმა ინატრა, მოწყენილო დღეებო, მოწყენილო გიტარა"... პოეტის ახალი სტრიქონები, ახალი მუზა მელოდიისა, ფიქრი, ძიება ახალი სიმღერისა... და აი იბადება და იკვეთება მელოდიის მთავარი ხაზი.. ასეა 25 წელიწადია. ამ ხნის მანძილზე 150-მდე სიმღერა შექმნა პოპულარულმა საესტრადო მომღერალმა და კომპოზიტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ეთერ ჭელიძემ, რომლის შემოქმედებას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში, მას სიყვარულით ხვდებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, საზღვარგარეთ. მისი ნაწარმოებები კი მრავალი საესტრადო მომღერლისა თუ კოლექტივის რეპერტუარშია დამკვიდრებული.

ამას წინათ ცენტრალურმა ტელევიზიამ ე. ჭელიძეს მოზრდილი გადაცემა მიუძღვნა, ხოლო რუსეთის სფსრ თეატრალურმა საზოგადოებამ მსახიობის სახლში მისი შემოქმედებითი საღამო გამართა.

მომღერალი ასრულებს როგორც საკუთარ, ისე, ცხადია, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. განსაკუთრებით უყვარს რომანსი, რომელმაც ბოლო დროს დამსახურებული აღიარება მოიპოვა ესტრადაზე.

ამჟამად საკავშირო ფირმა „მელოდია" გამოსაცემად ამზადებს ფირფიტა-გიგანტს, რომელზეც ე. ჭელიძის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები იქნება წარმოდგენილი, ახლახან კი საკავშირო რადიოს სამხატვრო საბჭომ თავისი ფონდისათვის მიიღო ე. ჭელიძის 15 სიმღერა.

ახლა მომღერალი და კომპოზიტორი ემზადება შემოქმედებითი ანგარიშისათვის „25 წელი ესტრადაზე", მანამდე კი ხელოვანი კვლავ ახალ სიმღერებზე ფიქრობს, კვლავ სიახლის ძიებაშია.

გალაკტიონის, ი. გრიშაშვილის, ალ. აბაშელის, ნ. დუმბაძის, მ. ფოცხიშვილის, ო. მამფორიას, ვ. გოგოლაშვილის პოეტურ სტრიქონებზე აქვს შექმნილი სიმღერათა უმრავლესობა კომპოზიტორს.

— განსაკუთრებით გამიტაცა ჩვენი სასიქადულო პოეტის ირაკლი აბაშიძის ლექსებზე მუშაობამ, — ამბობს მომღერალი. „შენ დაგიტოვებ", „ქალაქა თბილისი", იქნებ სიყვარულს არა აქვს ზომა", „მშვიდობა", „მცხეთა", „ბილიკი მღერის" ჩემი უახლესი სიმღერებია. ძალზე ფაქიზად ვეკიდები პოეტი ქალების ლექსებზე სიმღერების შექმნას, ა. კალანდაძის, ნ. კილასონიას, მ. კახიძის, ნ. ღვინეფაძის, დ. გვიშიანის პოეტური სტრიქონები ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი წყაროა... სულ ახლახან ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალს თამარ გვერდწითელს ვუძღვენი სიმღერა „დედავ ქართლისა", მის რეპერტუარში ბავშვობიდანვე იყო ჩემი სიმღერები „თბილისის ქუჩები", „ყამირი", „გამარჯვების დღე", „აღმართი" და სხვ. ემთავრებ რამდენიმე ახალ სიმღერას, მუსიკალურ ნოველას „14 იანვარი" ოთარ მამფორიას ტექსტზე.

...ჩვენც ამ ახალი სიმღერების მოლოდინში ვართ.

**რ. მუხაძე.**

## სპორტი

# თბილისელ ხელბურთელთა წარმატება

ვენაში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საუცხოოდ იასპარეზა თბილისის „ქარიშხალამ" და პირველობაც მოიპოვა. ფინალური მატჩი თბილისელებმა მოუგეს ნიურნბერგის (გფრ) „ტუსპოს" ანგარიშით 29:25 (13:13). საბჭოთა ხელბურთელებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდა 12 საკლუბო გუნდი ავსტრიიდან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ტუნისიდან და ჩეხოსლოვაკიიდან.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა კი იასპარეზა ქალაქ ფრაიბურგში (გფრ) და პირველობას დაეუფლა.

# სამი გოლი წლის დასაწყისში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც ესპანეთში იმყოფება ამხანაგური მატჩების გასამართავად, ქალაქ ვიგოში დაამარცხა ადგილობრივი „სელტა" ანგარიშით 3:0. სამივე გოლი გაიტანა ბლოხინმა (მე-5, 30-ე და 35-ე წუთებზე). საბჭოთა ნაკრებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყო: დასაევი, სულაქველიძე, ჩივაძე, ბოროვსკი, დემიანენკო, ბურიაკი, ბესონოვი, დარასელია, შენგელია, გავრილოვი და ბლოხინი. მეორე ტაიმში 7 თანაგუნდელი შეცვალეს ვიქტორ ჩანოვმა, ბალმა, ოჰანესიანმა, გუცაევმა, ყიფიანმა, შველოვმა და ანდრეევმა.

# ჟოაო აველანჟი მოსკოვში

მოსკოვში დაიწყო ფიფას (ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია) პირველი ვიცე-პრეზიდენტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გთავაზობთ პირველი დღის მატჩების შედეგებს: ბრაზილია-სსრ კავშირი II — 1:0, გფრ-იტალია — 2:1, სსრ კავშირი I-ბულგარეთი — 0:0. ამ ასპარეზობაზე დასასწრებლად სპეციალურად ჩამოვიდა ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი. გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები წილისყრისათვის (გაიმართება 16 იანვარს) შესაძლებელია ასეთნაირად დაჯგუფდნენ: ესპანეთი, არგენტინა, ბრაზილია, იტალია, გფრ და ინგლისი (იმ ვარაუდით, რომ თითოეული ქვეყანა ცალკე შერჩევით ჯგუფში მოხვდება. წილისყრისათვის მეორე ჯგუფში მოსალოდნელია მოხვდნენ სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი, უნგრეთი და ავსტრია, მესამეში — შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, საფრანგეთი, ბელგია, პერუ და ჩილე, მეოთხეში — კამერუნი, ალჟირი, ჰონდურასი, სალვადორი, კუვეიტი და ჩემპიონატის 24-ე მონაწილე, რომლის ვინაობა გაირკვევა 10 იანვარს ჩინეთისა და ახალი ზელანდიის ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ. ამასთანავე აველანჟმა აღნიშნა ისიც, რომ წილისყრის ეს სისტემა თავდაპირველად ფიფას აღმასკომის სხდომაზე უნდა დამტკიცდეს. მანვე მაღალი შეფასება მისცა შარშანდელ სეზონში საბჭოთა ნაკრების თამაშს.

# ლიდერთა შორის

ჰასტინგსის (ინგლისი) მოჭადრაკე ვაჟთა საახალწლო შეჯიბრებას ცხრა ტურის შემდეგ ლიდერობს მინსკელი ვ. კუპრეიჩიკი. ოთხი დასკვნითი ტურის წინ კუპრეიჩიკს 7 ქულა აქვს, ანდერსონს (შვეცია) და სმისლოვს (სსრ კავშირი) — 5,5-5,5, ლიტლვუდს (დიდი ბრიტანეთი) — 5:(1).

პორიში (გფრ) მიმდინარე საახალწლო ტურნირში დაწინაურდა ენტონი მაილსი (დიდი ბრიტანეთი). 8 ტურის შემდეგ მას 7 ქულა აქვს. მიხეილ ტალი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. ლიდერთა შორის არიან თბილისელი თამაზ გიორგაძე და ვლასტიმილ პორტი (ჩეხოსლოვაკია) — 5-5 ქულა.

# პირველი ჩემპიონები

რიგაში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. გათამაშდა მედლების პირველი კომპლექტი. წყვილთა ციგურაობაში ოქროს მედლებს დაეუფლნენ მოსკოველები მარინე პესტოვა და სტანისლავ ლეონოვიჩი, ვერცხლისას — კვლავ მოსკოველები ვერონიკა პერშინა და მარატ აკბაროვი. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ლენინგრადელებს ელენე ვალოვას და ოლეგ ვასილიევს.

# ოლიმპიადის საგზურისათვის

ბალახის ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის დ ე ბ ი უ ტ ა ნ ტმა — სსრ კავშირის ნაკრებმა ბომბეიში მორიგი მატჩი გამართა მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან — ჰოლანდიის გუნდთან და იგი ფრედ (2:2) დაამთავრა. საბჭოთა ჰოკეისტებმა ქვეჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავეს და ახლა ინდოეთის, პოლონეთისა და ახალი ზელანდიის სპორტსმენებთან ერთად მეხუთე-მერვე ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუფში და ოლიმპიადა — 84-ის ორი საგზურისთვის განაგრძობენ თამაშს. ჩემპიონატის მედლებს კი გაითამაშებენ ავსტრალიის, პაკისტანის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის ჰოკეისტები.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

# ცისფერ ეკრანზე

## საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

### 11 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯადოსნური თიხა", 10.00 — „მოამბე", 10.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ცხვირა ჯუჯა", 11.30 — მხატვრული ფილმი — „ვაჟიშვილის დაბრუნება", 12.45 — „ბალეტის მოყვარულთათვის", 13.15 — ფიზიკის ტელეკურსი, 13.45 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის „ნიკო ლორთქიფანიძე", 14.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.00 — მოსწავლეთათვის — სამართლისმცოდნეობა, 17.30 — „თქვენთვის, პატარებო!" — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — უმცროსკლასელთათვის — „ვიწყებთ ლაპარაკს რუსულად", 18.20 — მოსწავლეთათვის — პიონერია მარშზე, 18.55 — ახალგაზრდობისათვის „უკრავს ელდარ ისაკაძე", 19.25 — „საქართველოს პროფკავშირთა მეჩვიდმეტე ყრილობის შესახვედრად — „პარტიის საიმედო დასაყრდენი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" პირველი სერია (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 23.20 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 17.05 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მშენებლები", 18.10 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — განცხადებები.

### 12 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჭაობის მდუმარებაში", 10.00 — მოამბე", 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალი-ბეკის ჯიგიტები", 11.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" პირველი სერია (მ.), 12.40 — უკრავს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი რუსუდან ხუნწარია (მ.), 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 13.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები" — სპარტაკ ბაღაშვილი, 14.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღარბი", 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — ბავშვებისათვის — „თოჯინის დაბადების დღე", 18.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 18.45 — კინონარკვევი, 19.00 — ახალგაზრდობისათვის — ლიტერატურული გადაცემა „დაბრუნება", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — „რედაქციაში წერილი მოვიდა", 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მეორე სერია. (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა საახალწლო შეხვედრა „ივერიასთან" (გამეორებით), 23.40 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 17.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „დათუნია კოსმოსში".

### 13 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 „ჩვენს დიად სამშობლოში" კინონარკვევი „იჟევსკი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „დირიჟორობს იური ტემირკანოვი" და „დიმიტრი ნალბანდიანი — მხატვარი, მოქალაქე", 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მეორე სერია. (მ.), 12.25 — „ხალხური შემოქმედება" — „მასპინძელსა მხიარულსა", 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი, 13.30 — ფილმი-სპექტაკლი „ბალადა სირაზე", 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — მოსწავლეთათვის „კინო და ბავშვები", 18.05 — „ხუთწლედი, წელი მეორე", 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — „საქართველოს პროფკავშირთა მეჩვიდმეტე ყრილობის შესახვედრად" — „პარტიის საიმედო დასაყრდენი", 19.15 — კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უშანგი ჩხეიძე", 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მესამე სერია (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — კონცერტი „სულს მონატრა ძველი ზღაპარი", 23.40 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 17.05 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — ბუნება და ქალაქი, 18.10 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა.

### 14 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში" კინონარკვევი „შენი ფერები მოლდავეთო", 10.00 — „მოამბე", 10.30 — მეოთხე კლასელთათვის — მათემატიკა, 10.55 — „ჩვენს დიად სამშობლოში" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯიგიტები", 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მესამე სერია (მ.), 12.25 — დოკუმენტური ფილმი — „ლუდმილა ზიკინას კონცერტზე", 13.20 — ბიოლოგიის ტელეკურსი, 13.50 — ახალგაზრდობისათვის — „შენ გიმღერ, ჩემო სამშობლოვ!". (ბიჭვინთის ფესტივალზე), 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — თქვენთვის, პატარებო!". მულტიპლიკაციური ფილმები, 18.10 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 18.30 — კინონარკვევი „ზამთრის თამაშები", 18.45 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი", 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" 20.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩეჩენი", 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მეოთხე სერია (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ქართული თეატრის დღე", დასასრულ — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 17.05 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი" „კრასნოიარსკის ზღვა", 18.05 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.50 — განცხადებები.

### 15 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 — [illegible] „მოამბე", 10.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში" სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „დიდი მზის მხარეში" და „ნაკრძალი მოყმაზე", 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მეოთხე სერია (მ.), 12.30 — „თქვენთვის, პატარებო!". მულტიპლიკაციური ფილმები, 13.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 13.30 — „აჲი ხალხური სიმღერა, 14.20 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „არასერიოზული კაცი", 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მეფე ირემი", 18.10 მოსწავლეთათვის — „საახალწლო განწყობილება" (გამეორებით), 18.45 — გადაცემა — „აღიარება", 19.05 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნები" — მღერის თ. ოგანესიანი, 19.30 — „მოამბე", 20.00 — „პრობლემები — ძიებები — გადაწყვეტილებები" (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ახალგაზრდობისათვის — „მრავალჟამიერ, ჩვენო ქვეყანავ!". (გამეორებით).

**მეორე პროგრამით:** 17.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გაუღიმე მეზობელს", 18.50 — განცხადებები.

### 16 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში" კინონარკვევი „ურალის მყინვარები", 10.00 — „მოამბე" 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.00 — „კინოაფიშა", 11.30 — „ხალხური შემოქმედება" — „გამხიარულდი ბუხარო" (გამეორებით), 12.30 — „პოეზიის ხუთი წუთი", 12.35 — სატელევიზიო პროგრამა „ჩვენი სოფელი" — „ყრილობაზე ითქვა, რა გაკეთდა!", 13.25 — „პოეზიის ხუთი წუთი", 13.30 — „გილოცავთ თეატრი" (გამეორებით), 15.10 — „პოეზიის ხუთი წუთი", 15.15 — „ხალხური შემოქმედება" — საგუნდო მუსიკის ჰიმნი", 16.25 — „პოეზიის ხუთი წუთი", 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 17.50 — გაზეთ „პრავდის" პოლიტიკური მიმომხილველის ი. ჟუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მ.), 18.35 — ახალგაზრდობისათვის „ჩვენი პრესკონფერენცია" (შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატთან დ. ყიფიანთან) (გამეორებით), 19.35 — „პოეზიის ხუთი წუთი", 19.45 — „მოამბე", 20.15 — „ცისფერ ეკრანზე" (1 იანვრის გადაცემის გამეორება) (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ცისფერ ეკრანზე" — გაგრძელება (მ.).

### 17 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.00 — „მოამბე", 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები", 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის ყველა ფერები", 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი — (სტუდიაშია დოცენტი რ. ენუქაშვილი), 13.45 — მოსწავლეთათვის „ქართული საბჭოთა თეატრი" — აკაკი ხორავა (გამეორებით), 14.15 — „მღერის საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ვოკალური ანსამბლი", 14.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯოკოლარეთი", 15.50 — „ვესტნიკი", 16.20 — „ხალხური შემოქმედება" — „გულს ემღერება" (გამეორებით), 16.55 — „ილუზიონი", 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — კინონარკვევი, 20.00 — „მოამბე", 20.30 — ახალგაზრდობისათვის — სპორტული კალეიდოსკოპი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „სცენის ოსტატები" — გიორგი შავგულიძე.

# რა მოვისმინოთ

## საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



### 11 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 08.00—გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 08.15 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 11.15 — „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოქმედებს". საუბარი „ქართველ მეცნიერთა სადღესო ამოცანა", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 12.15 — მიკროფონთან არის ანსამბლი „რერო", 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. ლებანიძის ლექსები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ეკრანის მელოდიები, 13.30 — „უკრავს ი. ანჯაფარიძე, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". გ. ლეონიძე. „ნატვრის ხე", 14.20 — კონცერტი. ა. ხაჩატურიანის ნაწარმოებები, 15.00 — „მეგობართა ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „სათაფლია", 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „საქალაქო ტრანსპორტი — პრობლემები, ამოცანები". საუბარი, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.), 20.30 — ნ. რიმსკი-კორსაკოვი. ოპერა „ოქროს მამალი", 23.30 — საღამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 12 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 09.25— ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — აფხაზ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 11.10 — „იდეოლოგიის კლასობრიობა და პარტიულობა". საუბარი, 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 12.15 — მღერის ნ. ბრეგვაძე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გ. აბაშიძე, 12.30 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 12.40 — „ყველა მერიდიანზე — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი", 12.50 — ს. პროკოფიევი. ვალსები, 13.30 — ი. ბოჭორიძე. სიმღერები, 14.00 — ლიტერატურული კითხვა. გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე", 14.30 — კონცერტი. ჯ. გერშვინის ნაწარმოებები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ეკრანის მელოდიები, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო", 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „კომუნისტები". რადიონარკვევი „სოფლის ამაგდარნი", 19.15 — მღერის ანსამბლი „ფაზისი", 19.40 — „ხუთწლედის ნაბიჯები" (მ.), 20.30 — „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე", 22.00 — ო. თაქთაქიშვილი. კამერული ნაწარმოებები, 23.30 — დები პონიგერების კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 13 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 0.6.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 08.00 გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37— რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ფ. არაყიშვილი. ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე" ნაწყვეტები, 11.15 — „პარტიული ცხოვრება". საუბარი „როცა პარტიული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანია", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 12.10 — „ნაშუადღევს". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 13.30 — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვოკალური ანსამბლის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე", 14.20 — კონცერტი. ო. გორდელის ნაწარმოებები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ბ. ბარტოკი. ოპერა „მშვენიერი მანდარინის" სუიტა, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციცინათელა", 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „პოეზია — 81", 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, **19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.),** 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი". რადიოჟურნალი (თბილისიდან), 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „სასურსათო პროგრამა მოქმედებს", 21.30 — შ. აზმაიფარაშვილი. სიუიტა „ძველი თბილისის სურათები" ნაწყვეტები, 22.00 ლ. კვანტალიანი. „დიალოგი მთაში". რადიოდადგმა, 23.30 — ფ. ლისტი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 14 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 09.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ო. თევდორაძე. რაფსოდია ხალხურ თემაზე, 11.15 — „სკკპ ოცდამეექვსე ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში". საუბარი „უახლესი მანქანა-მოწყობილობები სოფელს", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 12.15 — საკლავესინო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები". სპექტაკლ „მაია წყნეთელის" სცენა ვ. ყიფშიძის, ვ. გოძიაშვილისა და ვ. ნინუას მონაწილეობით, 12.35 — მღერის ანსამბლი „ივერია", 12.50 — ქალაქური ჰანგები 13.30 — ქართული თეატრის დღე . კომპოზიცია, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე", 14.30 — მ. კაბალესა და ჯ. დი სტეფანოს კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.35 — მოსწავლეთათვის — ნ. კეცხოველი, „მეცხრე მთას გადაღმა", 18.00 — აფხაზეთის ასსრ ახალი ამბები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — **მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი,** 19.20 — ფ. შოპენი. ბალადა სოლ მინორი, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „რა კარგი იყო ბარდნალა". ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „მესამე ზარის შემდეგ". კონცერტი-მიმოხილვა, 23.30 — საესტრადო მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 15 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 09.25— ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — ნ. გაბუნია. ვოკალურ-ინსტრუმენტული პიესა „ივავი", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 12.15 — პოპულარული საბალეტო მუსიკა, 12.35 — მუსიკალური პროგრამა „მეზღვაურები მიკროფონთან", 13.30 — ქალაქური ჰანგები, 14.00 — კონცერტი ი. სიხელიძის ნაწარმოებებიდან, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება". ვ. კაჭიძე. ლარგო სიმფონიური ორკესტრისათვის, 17.40 მოსწავლეთათვის — გ. პეტრიაშვილი, „ვარდი და ქალაქი". მოთხრობა, 18.00 — „პიკის საათი" საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 19.00 — „საქართველოს კომკავშირის ოცდამეთორმეტე ყრილობის შესახვედრად", 19.15 — პ. ჩაიკოვსკი. იტალიური კაპრიჩიო, 19.45 — ეკრანის მელოდიები, 20.30 — „ჯანმრთელობა". რადიოჟურნალი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 16 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 09.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.45 — დ. თორაძე. ბალეტ „გორდას" ნაწყვეტები, 11.15 — მ. გარიგერდიძე. სიმღერები, 11.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 11.50 — მსუბუქი მუსიკა, 12.00 — „სოციალიზმის ქვეყნებში", 12.15 — უკრავს ე. ვირსალაძე, 13.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 14.00 — ლ. გოთუა. „უძლეველნი". რადიოდადგმა, 15.10 — ბ. შოუ. მოუჩიკლის „ჩემი მშვენიერი ლედის" ნაწყვეტები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „მზიარულ ტალღაზე", 19.30 — უკრავს ვ. გოროვიცი, 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები" — ა. კობახიძის ჩანაწერები, 21.00 — „ძილისპირული", 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „სტუდენტური პროგრამა", 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 17 იანვარი

**პირველი პროგრამით:** 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 07.40 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 08.20 „მიწა და ადამიანები" (მ.), 09.15— ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება, 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.15 — „პოეტი მიკროფონთან" — კ. კალაძე, 12.30— მუსიკალური მოზაიკა, 13.30 — ახალგაზრდობისათვის. მუსიკის საათი", 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი, 15.00— „მეგობრობის კონცერტი" (თბილისიდან), 15.30 — „წლის საუკეთესო მაჩვენებელი". რადიონარკვევი, 15.45 — მედოლეთა ანსამბლის კონცერტი, 16.30 — საერთაშორისო მიმომხილველის „მრგვალ მაგიდასთან" (მ.), 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „იყო ერთი ბიჭი", 18.10 — რადიოსადგურ „ეხოსის" პროგრამა (მ.), 19.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" 20.30 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა", 23.30 — საღამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 08018 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. ბეჭდვა ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20